



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია Philological Studies in Medieval Eastern Christianity
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი ფილოლოგიის მაგისტრი/Master of Philology სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრი ფილოლოგიაში/ Master of Research in Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 20 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია - 20 ECTS კრედიტი; • შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია- 20 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია - 20 ECTS კრედიტი; • შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია - 20 ECTS კრედიტი; მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 10 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია - 10 ECTS კრედიტი; • შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია- 10 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია - 10 ECTS კრედიტი; • შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია - 10 ECTS კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ასოც. პროფ. ანა ხარანაული ana.kharanauli@tsu.ge ასოც. პროფ. ნათია ჩანტლაძე natia.chantladze@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სწავლის ფართო სფეროებში: 1. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 2. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 3. განათლება; 4. ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • წერიტი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	აკადემიური სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნით, მეთოდოლოგიითა და უნარებით; სისტემური ცოდნის მიცემა შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიაში; ანალიტიკური აზროვნების განვითარება, დარგობრივი ინფორმაციის ანალიზისა და კომუნიკაციური უნარების განვითარება. ყოველივე ამის საფუძველზე მათ შეეძლებათ: 1. შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში „ლინგვაფრანკას“ და ნაციონალური ენების ურთიერთმიმართების განხილვა, იმ გზების გაანალიზება, რომლითაც ვითარდებოდა ნაციონალური მწერლობა დიგლოსიის პირობებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სააზროვნო ინტერესების აღწერა; ცალკეულ ქვეყნებსა და კულტურებში ამ ინტერესებს შორის არჩევანის განმაპირობებელი პრიორიტეტების დადგენა და ურთიერთშედარება. 2. ძველი ქართული ენის, ასევე ძველი ბერძნული ენის / ძველი სომხური ენის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში თარგმანის როლის აღწერა: თარგმანის, როგორც კულტურული ტრანსფერის მამოძრავებელი ძალისა და თარგმანის, როგორც სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საშუალების. 3. ქართული / სომხური ენის კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს განსაზღვრა, აღწერა და სომხურ და/ან ქართულ და ბიზანტიურ კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოსთან შედარება, რაც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტმცოდნეობით, ტექსტოლოგიურ, წყაროთმცოდნეობით კომპეტენციებს. 4. ტექსტის კითხვა და ინტერპრეტაცია; პირველწყაროებზე დამოუკიდებელი ანალიტიკური მუშაობა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; კვლევის მეთოდების შესწავლა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება ფართო წრეებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიური და მთარგმნელობითი ტრადიციების კომპარატივისტული კვლევების შედეგების ანალიზი. შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია აკადემიური სფეროსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნით, მეთოდოლოგიითა და უნარებით; ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიაში; ანალიტიკური აზროვნების განვითარება, დამოუკიდებელი მეცნიერული ანალიზისა და კომუნიკაციური უნარების
--	---



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	განვითარება. ყოველივე ამის საფუძველზე მათ შეეძლება: 1. შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში „ლინგვაფრანკასა“ დანაციონალური ენების ურთიერთმიმართების განხილვა, იმ გზების გაანალიზება, რომლითაც ვითარდებოდა ნაციონალური მწერლობა დიგლოსიის პირობებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის სააზროვნო ინტერესების აღწერა; ცალკეულ ქვეყნებსა და კულტურებში ამ ინტერესებს შორის არჩევანის განმაპირობებელი პრიორიტეტების დადგენა და ურთიერთშედარება. 2. ძველი ქართული ენის, ასევე ძველი ბერძნული ენის / ძველი სომხური ენის ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში თარგმანის როლის აღწერა: თარგმანის, როგორც კულტურული ტრანსფერის მამოძრავებელი ძალისა და თარგმანის, როგორც სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საშუალების. 3. ქართული / სომხური ენის კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს განსაზღვრა, აღწერა, გაანალიზება და სომხურ და/ან ქართულ და ბიზანტიურ კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოსთან შედარება, რაც მოიცავს ლინგვისტურ, ლიტმცოდნეობით, ტექსტოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ, წყაროთმცოდნეობით კომპეტენციებს. 4. ტექსტის კითხვა და ინტერპრეტაცია; პირველწყაროებზე დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; კვლევის მეთოდების დაუფლებითა და უახლესი სამეცნიერო ცოდნით საქართველოში შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოლოგიის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა; საკუთარი წვლილის შეტანა აკადემიურ სფეროს განვითარებაში და ცოდნის გაცვლა-გავრცელება აკადემიურ საზოგადოებასა და ფართო წრეებში; შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიური და მთარგმნელობითი ტრადიციების კომპარატივისტულ კვლევებში წარმატებული ჩართვა; შუა საუკუნეების ქრისტიანული კავკასიის კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.
სწავლის შედეგები	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით (სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები) მიზნად დასახული ცოდნა, პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	მიღწევას. შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც მიზნად ისახავს დარგის სპეციფიკის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. სასწავლო დისციპლინები ითვალისწინებს როგორც ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტებს, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიერ დასახული ერთიანი სწავლის შედეგების მიღწევას.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული ფილოლოგიის მაგისტრი • ძველი ქართული ენის ღრმა, აგრეთვე ძველი ბერძნული / ძველი სომხური ენების სტრუქტურების ფართო, სისტემური ცოდნის საფუძველზე სამეცნიერო მეტაენით აღწერს და ახასიათებს გრამატიკულ პროცესებს როგორც ქართულ, ასევე სომხურ და ბერძნულ ენებში, ქართულ-ბერძნულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებს და ამ კონტაქტების გავლენას ნაციონალურ ენებზე. განიხილავს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და კრიტიკულად მიმოიხილავს მეცნიერულ პოზიციებს. • პირველწყაროებზე დაყრდნობით და უახლესი მეთოდების გამოყენებით აღწერს და განიხილავს ძველ ქართულ, ძველ ბერძნულ / ძველ სომხურ ენებზე შექმნილ ტექსტებს და მათ მატარებელ მატერიალურ წყაროებს, მათზე დაყრდნობით მსჯელობს ტექსტის ენის, ტექსტის ჰერმენევტიკის, ლიტერატურული და ტექსტოლოგიური კრიტიკისა და თარგმანმცოდნეობის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე. ერკვევა პალეოგრაფია-კოდიკოლოგიის პრობლემატიკაში. • აღწერს და ახასიათებს შუა საუკუნეების სააზროვნო პროცესებს, ფილოლოგიური კვლევის მეთოდების შესწავლის საფუძველზე, პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს სხვადასხვა ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ პრობლემას და კონცეპტუალურად აფასებს მათ. ავლენს შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობისა და ძველი ქართული სამწერლობო კერების ისტორიის, ტექსტოლოგიის საფუძვლების ცოდნას.
ბ) უნარები	• იყენებს ძველი ენების ცოდნას, როგორც ინსტრუმენტს ტექსტის ანალიზისა და კომენტარის დროს. • იყენებს შესწავლილ ენებს (ქართულთან ერთად) უახლესი დარგობრივი ინფორმაციის გასაცნობად და აკადემიურ სივრცეში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად.



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	• კრიტიკულად აანალიზებს ქართული, ბერძნული / სომხური ენების ისტორიებს და მათ მამოძრავებელ იმპულსებს, სამეცნიერო აზრს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. • კითხულობს და აანალიზებს ქართულ-ბერძნულ-სომხურენოვან ტექსტებს, დარგობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ ინტერპრეტაციას შუა საუკუნეების ენობრივი, ლიტერატურული, კულტურული და ისტორიული პერსპექტივიდან. • ფართოდ იაზრებს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, ქრისტიანული კავკასიის ზოგად ლიტერატურულ, კულტურულ, რელიგიურ პრობლემატიკას. შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს ქართულ-ბერძნულ-სომხური ლიტერატურული და რელიგიური ურთიერთობების კონტექსტუალიზაციას სინქრონიასა და დიაქრონიაში. • ავლენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პირობებში საკუთრი დასკვნებისა და არგუმენტების წარდგენის უნარს. • ინფორმაციის სინთეზით, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აყალიბებს დასკვნებს და პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას. შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე ახდენს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს, ახდენს ობიექტური, მიუკერძოებელი კვლევის ჩვევებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. ქართულ-ბერძნულ-სომხური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების აღწერისა და გაანალიზებისას, სტუდენტს შეუძლია განსხვავებული შეხედულებების მიღება, ადეკვატურად აფასებს მათ, განსაზღვრავს საკუთარ პოზიციას და მზადაა პასუხი გასცეს სამეცნიერო პოლემიკის დროს გაჩენილ შეკითხვებს, მას შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა, საკუთარ მსჯელობაში შესწორებების შეტანა. • აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას (სწავლობს რა ქართულ ენასა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს ბერძნულ / სომხურ ენებსა და მათთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსთან შედარება-შეპირისპირებით), ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.
სწავლის შედეგები	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით (სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები) და კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) სინთეზით მიზნად დასახული ცოდნა, პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას. შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი შედგება იმ სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან, რომლებიც მიზნად ისახავს დარგის სპეციფიკის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. სასწავლო დისციპლინები ითვალისწინებს როგორც ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტებს, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიერ დასახული ერთიანი სწავლის შედეგების მიღწევას. მაგისტრმა სწავლა შეიძლება განაგრძოს დოქტორანტურაში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კვლევის მაგისტრი ფილოლოგიაში • ძველი ქართული ენის ღრმა, აგრეთვე ძველი ბერძნული / ძველი სომხური ენების სტრუქტურების ფართო, სისტემური ცოდნის საფუძველზე სამეცნიერო მეტაენით აღწერს და ახასიათებს გრამატიკულ პროცესებს როგორც ქართულ, ასევე სომხურ და ბერძნულ ენებში, ქართულ-ბერძნულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებს და ამ კონტაქტების გავლენას ნაციონალურ ენებზე. განიხილავს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და კრიტიკულად მიმოიხილავს მეცნიერულ პოზიციებს. • პირველწყაროებზე დაყრდნობით და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით აღწერს დაგანიხილავს ძველ ქართულ, ძველ ბერძნულ / ძველ სომხურ ენებზე შექმნილ ტექსტებს და მათ მატარებელ მატერიალურ წყაროებს, მათზე დაყრდნობით მსჯელობს ეპიგრაფიკის, კოდიკოლოგიისა და პალეოგრაფიის, ტექსტის ენის, ტექსტის ჰერმენევტიკის, ლიტერატურული და ტექსტოლოგიური კრიტიკისა და თარგმანმცოდნეობის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე. საფუძვლიანად და ღრმად ერკვევა წყაროთმცოდნეობისა და პალეოგრაფია-კოდიკოლოგიის



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	პრობლემატიკაში. • აღწერს და ახასიათებს შუა საუკუნეების სააზროვნო პროცესებს, ფილოლოგიური კვლევის მეთოდების შესწავლის საფუძველზე, პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს სხვადასხვა ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ და თეოლოგიურ პრობლემას და კონცეპტუალურად აფასებს მათ. ავლენს შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობისა და ძველი ქართული სამწერლობო კერების ისტორიის, ტექსტოლოგიის საფუძვლების ცოდნას.
ბ) უნარები	• იყენებს ძველი ენების ცოდნას, როგორც ინსტრუმენტს ტექსტის ანალიზისა და კომენტარის დროს. • იყენებს შესწავლილ ენებს (ქართულთან ერთად) სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შესადგენად. • კრიტიკულად აანალიზებს ქართული, ბერძნული / სომხური ენების ისტორიებს და მათ მამოძრავებელ იმპულსებს, სამეცნიერო აზრს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. • კითხულობს და აანალიზებს ქართულ-ბერძნულ-სომხურენოვან ტექსტებს, დარგობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ კომენტირებასა და ინტერპრეტაციას შუა საუკუნეების ენობრივი, იტერატურული, კულტურული და ისტორიული პერსპექტივიდან. • ფართოდ იაზრებს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის, კერძოდ, ქრისტიანული კავკასიის ზოგად ლიტერატურულ, კულტურულ, რელიგიურ პრობლემატიკას. შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით ახდენს ქართულ-ბერძნულ-სომხური ლიტერატურული და რელიგიური ურთიერთობების კონტექსტუალიზაციას სინქრონიასა და დიაქრონიაში. • ავლენს ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების, კვლევის მეთოდების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარს. • ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს, ახალ და ორიგინალურ იდეებს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით აყალიბებს მათ საკვალიფიკაციო ნაშრომში და პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ამჟღავნებს ნაცნობ და უცნობ გარემოში დამოუკიდებელი სწავლის, კვლევის და მუშაობის უნარს და ამით შეაქვს წვლილი შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნის განვითარებაში. • პროფესიული საქმიანობისას იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს, ახდენს ობიექტური, მიუკერძოებელი კვლევის ჩვევებისა



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	და აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. ქართულ-ბერძნულ-სომხური ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების აღწერისა და გაანალიზებისას, სტუდენტს შეუძლია განსხვავებული შეხედულებების მიღება, ადეკვატურად აფასებს მათ, განსაზღვრავს საკუთარ პოზიციას და მზადაა პასუხი გასცეს სამეცნიერო პოლემიკის დროს გაჩენილ შეკითხვებს, მას შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა, საკუთარ მსჯელობაში შესწორებების შეტანა. • აღიარებს კულტურათშორისი განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას (სწავლობს რა ქართულ ენასა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს ბერძნულ / სომხურ ენებსა და მათთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსთან შედარება-შეპირისპირებით), ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრის, კულტურებისა და კონფესიების მიმართ.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, შუალედური გამოცდების, პრეზენტაციების, რეფერატისა და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს შემდეგ მეთოდებს: • ინტერაქტიური ლექცია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • დემონსტრირებისა და პრეზენტაციის მეთოდი; • ჯგუფური მუშაობა; • დისკუსია/დებატები; • პრაქტიკუმი/პრაქტიკული მეცადინეობა; • დამოუკიდებელი მუშაობა; • თარგმნის მეთოდი; • ტექსტის დეკოდირების მეთოდი; • სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით; • გამოცდილებით სწავლება; • ინდუქცია და დედუქცია; • ანალიზი და სინთეზი; • პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება; • სტუდენტზე ორიენტირებულისწავლება.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება, გარკვეული შეფარდებით, მოიცავს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, რომელსაც სტუდენტი წარმოადგენს სამუშაო ჯგუფში წერითი დავალებების ან ზეპირი პრეზენტაციების სახით; ასევე, შეფასებას დამოუკიდებლად შესრულებული რეფერატისა და PowerPoint პროგრამაში წარმოდგენილი პრეზენტაციისა. ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას.



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში არქივებში, მუზეუმებში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში) და უმაღლესი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ფონდებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიის სფეროში, გამომცემლობებში და სხვა.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები. ყველა სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თუ სახელმძღვანელოს ავტორი: ასოც. პროფ., ფილ. მეცნ. დოქტ. ანა ხარანაული, პროფ., ფილ. დოქტ. დარეჯან თვალთვაძე, ასოც. პროფ., ფილ. დოქტ. ლელა ციხელაშვილი, ემერიტუსი პროფ. დამანა მელიქიშვილი, ასოც. პროფ., ისტორიის დოქტორი ნათია ჩანტლაძე, ასოც. პროფ., ფილ. დოქტ. დალი ჩიტუნაშვილი; ფილ. მეცნ. დოქტ. თამარ ოთხმეზური, ფილ. დოქტ. ვიქტორია ჯუღელი, ფილ. დოქტ. ხათუნა გაფრინდაშვილი. კაბინეტები აღჭურვილია ტექნიკურად: კომპუტერებითა და პრინტერებით, კომპუტერებში დაინსტალირებულია პროგრამები: Bible Works for Window, Classical Word Editor და ელექტრონული ბიბლიოთეკები. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუს და ფაკულტეტის რესურს ცენტრები • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობაში მონაწილეობის მხარდაჭერას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ფართო საერთაშორისო კავშირები. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგი უცხოურ კვლევით ცენტრებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. პროგრამის აქტუალობისა და პერსპექტიულობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ პროგრამის სტუდენტთა დიდი უმრავლესობა დაფინანსებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით, ასევე, თსუ სტუდენტური გრანტით. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და მისი კურსდამთავრებულები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში. მიღებული აქვთ რუსთაველის ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტები, ჰუმბოლტის ფონდის გრანტი, SBL-ის საკონფერენციო გრანტები, მონაწილეობენ ერაზმუსის გაცვლით პროგრამაში.